ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №335/2017

ქ. თბილისი „27“ ოქტომბერი 2017 წ.

ერთის მხრივ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოვალეობის შესმრულებლის, გიორგი იაკობაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **ინდ. მეწარმე ზურაბ ბერიანიძე** (შემდგომში "მიმწოდებელი"), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1."ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2."ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3."დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4."სამუშაოები" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ სამონტაჟო სამუშაოების (CPV45350000) შესყიდვა.

2.2. შესყიდვის ობიექტი გულისხმობს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სარგებლობაში მყოფ ტერიტრიაზე (მისამრთი - თბილის, მარშალ გელოვანის №6), კანალიზაციის ჭის სახურავის მონტაჟს.

2.3.შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №1-ში.**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. მოსაწოდებელი სამუშაოს ღირებულება შეადგენს **421 (ოთხას ოცდაერთი)** ლარსა და 04 თეთრს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3.2. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის გამოყოფილი სახსრები.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

4.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს შესრულებული სამუშაოების ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

4.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.4.1. შეასრულოს ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში;

4.4.2. შეასრულოს სამშაოები დადგენილი ხარისხითა და სტანდარტებით;

4.4.3. განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

5. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესრულებული სამუშაო მიღებულად ჩაითვლება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5.2. მიღება-ჩაბარების აქტი შედგება მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებულ სამუშაოთა აქტის (ფორმა №2) საფუძველზე;

5.3. მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერენ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირები.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებენ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ქონების მართვისა და სამეურნეო სამმართველოს თანამშრომლები პაატა მაისასია, აბესალომ არჩემაშვილი ლევან ცოტაძე და დავით კალანდაძე

6.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის ფუნქციაა შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების პირობების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

6.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6.4. ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

7. გარანტია

7.1. შესრულებუ სამუშაოებზე ვრცელდება გარანტია, <u>ორი წელი</u> მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

7.2. მომწოდებელი ვალდებულია საგარანტი ვადის მოქმდების პერიოდში, გამოვლენილი ყველა დეფექტი და ხარვეზი გამოასწოროს საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველის მხრიდან აღნიშნულის ოფიციალური (წერილობითი) შეტყობინებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.

8. ანგარიშსწორება

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

8.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან.

9. ფასები.

შესასრულებელი სამუშაოების ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №1-ში.**

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.4.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის გამო, მომწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ვადაგადაცილების ყოველ დღეზე.

11.2. ხელშეკრულების 8.2. პუნქტით გათვალისწინებულ ვადების დარღვევის გამო, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ვადაგადაცილების ყოველ დღეზე.

11.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობის შესაბამისი თანხით.

11.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 11.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშკრულების ჯამური ღირებულების 0,5%-ს, შემსყიდველს აქვს უფლება ცალმხრიად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.2. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.4. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

12.5. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სხვა პირობები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ს.ს.ი.პ. – სურსათის ეროვნული სააგენტო	ი.მ. ზურაბ ბერიანიძე
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის №6 მომსახურე ბანკი: სს "საქართველოს ბანკი" ბ.კ. – BAGAGE22 ა.ა. – GE97BG0000000292123100 ტელ: (+995 32) 291-91-65/66/67(138)	ს.კ. – 24001010263 თბილისი, მუხიანის მე-4ბ მკ-რნი; კორპ.44; ბ.35; მომსახურე ბანკი: ს.ს. "საქართველოს ბანკი" ბ.კ. – BAGAGE22 ა.ა. – GE96BG0000000875869700
სააგენტოს უფროსის მ.შ. გიორგი იაკობაშვილი _____	ინდივიდუალური მეწარმე _____ ზურაბ ბერიანიძე

სამონტაჟო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს დასახელება	განზ	რაოდ	მასალა		ხელფასი		ჯამი
				ერფასი	ჯამი	ერფასი	ჯამი	
	ჭის თავსახურის მოწყობა კვადრატული მილების გამოყენებით (40*60მმ.) ზომით 1,1*0.95მ.	ცალი	1.00	0.00	0.00	100.00	100.00	100.00
	კვადრატული მილი (40*60მმ.)	მ.	10.00	6.00	60.00	0.00	0.00	60.00
	რკინის პეტლი	ცალი	2.00	10.00	20.00	0.00	0.00	20.00
	სახელური	ცალი	1.00	7.00	7.00	0.00	0.00	7.00
	სქელი რკინის „ლისტი„ ზომით 1,1*0.95მ.	ცალი	1.00	70.00	70.00	0.00	0.00	70.00
	საჭრელი დისკი	ცალი	4.00	6.00	24.00	0.00	0.00	24.00
	ელექტროდი	კგ.	2.00	5.00	10.00	0.00	0.00	10.00
	ჭის თავსახურის შეღებვა ზეთოვანი საღებავით	კვ.მ	4.00	7.00	28.00	5.00	20.00	48.00
	ჯამი				219.00		120.00	339.00
	ტრანსპორტირების ხარჯი		5%					16.95
								355.95
	ზედნადები ხარჯები		10%					33.90
	ჯამი							389.85
	გეგმიური დაგროვება		8%					31.19
	ჯამი							421.04

შეადგინა: ი/მ ზურაბ ბერიანიძე

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ **ინდ. მეწარმე ზურაბ ბერიანიძეს** მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს
უფროსის მ/შ

იურიდიული დეპარტამენტი

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

ხელშეკრულების პირობების შესრულებზე კონტროლის განმახორციელებელი პირი:

1. პაატა მაისაია ----------
2. აბესალომ არჩემაშვილი ----------
3. ლევან ცოტაძე ----------
4. დავით კალანდაძე ----------